



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N14**

ქ. ლანჩხუთი

31. 07. 2018 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო შიშიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის აუდიტის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მოქალაქე იური ჩხაიძე (განცხადება N278-ის საფუძველზე), მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი :

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/ უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ც. ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნიებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

19. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/ უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2015 წლის 30 ივნისის N28 დადგენილებით, დამტკიცებული აქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, აუქციონში გამარჯვებულზე გასაცემი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმა, რომელსაც მუნიციპალიტეტის ქონების მმართველის სახელით ხელს აწერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად და იმ გარემოების გამო, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ბოლო წლებია მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვას უმეტეს წილად ელექტრონული აუქციონის ფორმით ახორციელებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ საკუთრების დამადასტურებელი ტიპური ფორმა უნდა დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტის (დანართი) სახით, რომელსაც ხელს მოაწერს აუქციონატორი- (მუნიციპალიტეტის ქონების მმართველი/წარმომადგენელი).

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა დადგენილება N32 (31.07.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ციცინო ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ გენდერულ საბჭოში შესვლის უფლება ჰქონდა საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ეს შეზღუდვა იხსნება და გენდერულ საბჭოში შესვლის უფლება ექნება საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამას გარდა, დებულებაში აღარ იქნება განსაზღვრული, თუ რამდენი მამაკაცი ან ქალბატონი უნდა იყოს საბჭოში პროცენტულად გაწევრიანებული. ასევე, განხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომლის მიხედვით სიტყვა „გამგებელი“-ს ნაცვლად უნდა დაიწეროს „მერი“.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა დადგენილება N33 (31.07.2018)

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნიებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ**. მან აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით მოწვეული იყო შესაბამისი

სპეციალისტები, რომელთან ერთადაც სიღრმისეულად იქნა განხილული ძირითადი თემები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N75 (31.07.2018)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ**. მან აღნიშნა, რომ წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვისთვის საჭიროა აუცილებლად მოეწყოს ჩიხი და ამ მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უნდა მოხდეს შესაბამისი ტერიტორიის გამოყოფა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის თქმით, რეგულაციები მიღებულ იქნა 2011 წელს და იგი ვრცელდებოდა მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, აღნიშნული ღონისძიებები გატარდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიებზე.

მოქალაქე **იური ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ უყურადღებოდ გამოშვებული პირუტყვი მის კუთვნილ ტერიტორიაზე შედის და ფაქტობრივად ყველაფერს ანადგურებს. წარმოდგენილ წესში კი არაფერი წერია იმის თაობაზე, რომ ამოქმედდეს შესაბამისი სანქციები, რათა უპატრონოდ გამოშვებული პირუტყვი სხვის ტერიტორიაზე არ შევიდეს და კერძო საკუთრებას ზიანი არ მიაყენოს. მისი თქმით, მუნიციპალიტეტმა უნდა დააწესოს გარკვეული ტიპის სანქციები პირუტყვის მეპატრონეების მიმართ, რათა სხვისი კერძო საკუთრება ხელშეუხებელი დარჩეს.

საკრებულოს წევრმა, ამირან გიგინეიშვილმა განმარტა, რომ არსებობს გამიჯნული ფუნქციები თვითმმართველობასა და სახელმწიფოს შორის. თვითმმართველობის ფუნქცია არის მხოლოდ და მხოლოდ წესების დადგენა, რომელსაც იმის იქით ვერ გაცდება. მისი თქმით, რასაც მოქალაქე ბრძანებს : ტერიტორიის გაკონტროლება, სანქციების, ჯარიმების გამოწერა გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქცია, რაშიც ცხადია მუნიციპალიტეტს ჩარევის უფლება არ აქვს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

**მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N 76 (31.07.2018)**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყები შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაძე**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილებები მიმდინარე წლის 28 ივნისის N1316 და 11 ივლისის N1397 განკარგულებებით, რის საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 4335415 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების მიზნით გამოეყო 139417 ლარი, ანუ მიმდინარე საფინანსო წელში ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსებაზე მიიმართება 4474832 ლარი, მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2986920 ლარი, აქედან თანადაფინანსება შეადგენს 63988 ლარს; კულტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართება 979337 ლარი, თანადაფინანსება 50000 ლარი; ბინათმშენებლობაზე 105965 ლარი, თანადაფინანსება 5298 ლარი; წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 402610 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 20131 ლარი. აღნიშნული ცვლილებები ბიუჯეტში ასახული უნდა იქნეს როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვის ნაწილში. (დანართი თან ერთვის.) საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხის არაფინანსური აქტივების მუხლის 5280 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 5280 ლარით. მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების სუფსიდირებით დაფინანსება 4000 ლარით,

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის სუფსიდირება 5000 ლარით, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების

და ტურიზმის ცენტრის სუბსიდიით დაფინანსება გაიზარდოს 5000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის I და II ჯგუფის ინვალიდების, ასევე უკიდურესად დამძიმებული ჯანმრთელობის მქონე პირების ერთჯერადი დახმარების პროგრამა გაიზარდოს 25000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 10000 ლარით, დამატებით გამოიყოს ციფრული მოქალაქის ოფისის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 16000 ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ხარჯებისათვის მიიმართოს 21600 ლარი. მუნიციპალიტეტის მერიის ოფისის ხარჯი გაიზარდოს 5000 ლარით, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი გაიზარდოს 4000 ლარით, სოც-კულტურული ღონისძიებების ტრანსპორტით ხარჯი გაიზარდოს 4000 ლარით. აღნიშნული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი გაიზარდოს 99600 ლარით არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაციიდან) მიღებული შემოსავლის ხარჯზე. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-ს წერილის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა, დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში არაფინანსური აქტივების მუხლის 45000 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს სუბსიდირების დაფინანსება 45000 ლარით. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების სუბსიდირების დაფინანსების 15000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 15000 ლარით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“ -ს კრიზისიდან გამოსაყვანად მუნიციპალიტეტთან ერთად ძალიან ბევრი ლანჩხუთის ამაგდარი ადამიანია ჩართულნი, ყოველივე ამის ფონზე ფიფამ გამოიტანა ვერდიქტი უცხო ქვეყნის კლუბისათვის „გურია“ -მ სანქციის სახით უნდა გადაიხადოს 125 000 ლარი. მისი თქით, ყველაფერი წყალში რომ არ ჩაიყაროს და ქართული ფეხბურთის ბრენდი- „ლანჩხუთის გურია“ სამუდამოდ რომ არ განადგურდეს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან აუცილებელია გამოიყოს თანხის ნაწილი მაინც.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია მიღწეულია შეთახმება იმ კლუბის ხელმძღვანელობასთან, რომლებმაც ფიფაში უჩივლეს საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს თანხის ეტაპობრივად გადახდაზე. მისი თქმით, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოიძებნოს ამ ეტაპზე პირველადი შენატანი, რათა გუნდს კიდევ არ დაედოს დამატებით სანქციები და არ მოიხსნას გათამაშებიდან.

საკრებულოს წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“, ყველასათვის საყვარელი გუნდია და ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ დეტალურად უნდა იქნას გამოძიებული, თუ ეს საფეხბურთო კლუბი ვინ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე, ასევე დადგენილ იქნას, თუ რა ოდენობის დავალიანება აქვს, რადგან აქ

საუბარია მუნიციპალიტეტის, ხალხის ფულზე, რომელიც არამიზნობრივად არ უნდა დაიხარჯოს.

საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში დეტალურად არ არის გაწერილი თუ მუნიციპალიტეტის ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულში კონკრეტულად რა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაო უნდა ჩატარდეს. მისი თქმით, მისი მოთხოვნაა ჩამოიღოს სახით, დეტალურად იქნას დოკუმენტში გაწერილი აღნიშნული საკითხი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

**მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N77 (31.07.2018)**

სხვადასხვა:

საკრებულოს წევრმა **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ მან არაერთხელ დააყენა საკითხი ქალაქის ცენტრში, კვირკველიას ქუჩაზე არსებული ტერიტორიის დასუფთავების თაობაზე, რომელიც მან ერთჯერადად თავისი სახსრებით დაასუფთავა, მაგრამ ტერიტორია დღეს კვლავ დასასუფთავებელია. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“ -ს თურმე არ ეხება აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავება. აღნიშნულ ადგილზე უამრავი ტურისტი თუ ვიზიტორი დადის, ამიტომ საკრებულოს წევრი თავს თვლის შეურაცხოფილად, რადგან საკითხის არაერთგის გაჟღერების მიუხედავად, პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა ერთჯერადად შესაძლებელია დაასუფთავოს აღნიშნული ტერიტორია, რადგან ის წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი თქმით, ქალაქის ყველა ქუჩა ვერ დასუფთავდება, რადგან მუნიციპალიტეტს ელემენტარულად შესაბამისი რესურსი არ აქვს.

საკრებულოს წევრმა, **რევაზ კვერენჩილაძემ** აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლების მოთხოვნაა მერის წარმომადგენელს ერთი თანაშემწე დაემატოს.

საკრებულოს წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს ნაგვის მანქანების შესამენად კაბალური პირობებით აღებული სესხი. მისი თქმით, აუცილებელია მუნიციპალიტეტმა განახლებულ მთავრობას, განახლებულ ეკონომიკურ გუნდს წერილობით მიმართოს, რათა შეუმსუბუქოს კაბალური სესხის პირობები.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭყონაგორის ბიბლიოთეკის შენობა არის ამორტიზირებული. სოფელში არის ალტერნატიული შენობა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია და მოსახლეობის მოთხოვნაა დროებით სარგებლობის უფლებით მასში განთავსდეს ბიბლიოთეკა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

